საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/53

ქ. ბათუმი 11 ნოემბერი, 2015 წ

სტუდენტის ცოდნის შეფასების უწყისის ფორმისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს N87 დადგენილების, „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლოს პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის და ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს #87 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლოს პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუს-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სტუდენტის ცოდნის ,,შეფასების უწყისის" თანდართული ფორმები (დანართი 1).
2. დამტკიცდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეფასების უწყისის შევსებისა და რეგისტრაციის თანდართული წესი (დანართი 2);
3. შეფასების უწყისის შევსების წესის შესრულების კოორდინაცია დაევალოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორ ინგა შამილიშვილს.
4. წინამდებარე ბრძანება სავალდებულოა შესასრულებლად ბსუ-ში მოქმედ ყველა საგანმანთლებლო პროგრამისათვის (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), თუკი სპეციალური ნორმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
5. ბრძანება დაეგზავნოს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების განმახორციელებელ ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
6. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 11 ნოემბრიდან.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

სტუდენტის ცოდნის შეფასების უწყისის ფორმის
დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის
2015 წლის 11 ნოემბრის N-- ბრძანების
01-08153
დანართი 1

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების უწყისი №

ფაკულტეტი _ **რეგისტრაციის თარიღი** "__" ___ 2015 წ.

სპეციალობა _ სწავლების ეტაპი (სემესტრი) _ ჯგუფი___

სწავლების საფეხური _ **ბაკალავრიატი** მოდული/ კურსი _

კრედიტების რაოდენობა _

შეფასების კომპონენტები და შესაბამისი მაქსიმალური ქულები:

I. -- შუალედური გამოცდა ---------- მაქსიმალური 10 ქულა;

(კომპონენტის დასახელება)

II. -- შუალედური გამოცდა ---------- მაქსიმალური 10 ქულა

(კომპონენტის დასახელება)

III. -- მიმდინარე შეფასება ---------- მაქსიმალური 40 ქულა

(კომპონენტის დასახელება)

IV. საბოლოო/განმეორებითი გამოცდა მაქსიმალური 40 ქულა

მიმდინარე შეფასების კომპონენტებისა და დასკვნითი/განმეორებითი გამოცდის მაქსიმალური მაჩვენებლების ჯამი უნდა შეადგენდეს 100 ქულას.

აკადემიურრ/მასწავლებელთა პერსონალი ----------

(გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა)

№	სტუდენტის გვარი, სახელი	სტუდენტის პირადი ნომერი	ქულები კომპონენტების მიხედვით			მიმდინარე შეფასების კომპონენტების ჯამი	დასკვნითი გამოცდა	განმეორებითი გამოცდა (Fx)	ქულათა ჯამი	საბოლოო შეფასება
			I	II	III					
1										
2										
3										
4										
5										

დადებითი შეფასებები:

(მიუთითეთ შესაბამისი შეფასების მქონე სტუდენტთა რაოდენობა)

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 % ----------;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 % ----------;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80 % ----------;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- 70 % ----------;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 % ----------

უარყოფითი შეფასებები:

(მიუთითეთ შესაბამისი შეფასების მქონე სტუდენტთა რაოდენობა)

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50 %----------;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 0–40 %----------;

მიმდინარე შეფასებებში 11 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება, და შეფასებად ფიქსირდება „ჩაიჭრა“.

(უწყისი უნდა შეივსოს მკაფიოდ, მასში დაუშვებელია ჩასწორებები).

პროფესორის/მასწავლებლის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანი,პროფ.: _____

ფაკულტეტის მდივანი: _____

რეგისტრირებულია

რექტორის მოადგილე ,ასოც.პროფ. /ი.შამილიშვილი/

გაცემის თარიღი "__" __ 2015

დანართი 2

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეფასების უწყისის შევსებისა და რეგისტრაციის წესი

1. სტუდენტის ცოდნის შეფასების დაფიქსირებისა და აღრიცხვისათვის გამოიყენება შეფასების უწყისი (დანართი N1). სასწავლო წლის პირველი შუალედური (რეიტინგული) გამოცდის წინ, სწავლების მე-5 კვირაში, ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემით ბსუ-ს შესაბამისი დასაქმებული (ფაკულტეტის მდივანი/სპეციალისტი) უზრუნველყოფს შეფასების უწყისებში სტუდენტთა სიების, სტუდენტთა პირადი ნომრების შეტანას, ასევე სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებას ქვემოთ მოყვანილი წესით. პირველი შუალედური გამოცდის ჩატარების შემდეგ (მე-6 კვირა) პროფესორ-მასწავლებლებს შეაქვთ შეფასებები უწყისის ელექტრონულ ფორმაში. მეორე შუალედური გამოცდის ჩატარების შემდეგ (მე-12 კვირა) პროფესორ-მასწავლებელს შეაქვს შეფასებები იმავე ელექტრონულ უწყისში, ხოლო სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ პედაგოგს იმავე უწყისში ელექტრონული ფორმით შეაქვს სტუდენტის მიმდინარე შეფასებათა ქულაც. დასკვნითი გამოცდის ჩატარების შემდეგ თავად პედაგოგი უზრუნველყოფს შეფასებების არსებულ უწყისში შეტანას და ამავე უწყისში შეაქვს დამატებითი გამოცდის ქულებიც.
2. უწყისი ივსება ელექტრონული ფორმით და შევსებული სახით ამოიბეჭდება დასკვნითი და განმეორებითი გამოცდის ჩატარების, საბოლოო შეჯამების შემდეგ, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის სამდივნო. უწყისი უნდა ამოიბეჭდოს ორ (დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სამ) ეგზემპლარად, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ხელწერით ამოწმებს უწყისს. უწყისის ერთი ეგზემპლარი ბარდება ფაკულტეტის სამდივნოს, ხოლო მეორე – შესაბამის დეპარტამენტს.
3. დამატებითი სპეციალობის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/მოდულის უწყისი ივსება ცალკეული ფაკულტეტების სტუდენტთა ჯგუფების მიხედვით სამ ეგზემპლარად. ერთი ბარდება შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს, ორი – იმ ფაკულტეტის დეკანატს, რომელზეც ხორციელდება დამატებითი სპეციალობის პროგრამა. სემესტრის ბოლოს დეკანატი უზრუნველყოფს უწყისის ერთი ეგზემპლარის იმ ფაკულტეტის დეკანატისათვის გადაბარებას, რომელზეც სწავლობს სტუდენტი ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამით.
4. საუნივერსიტეტო არჩევით მოდულში სტუდენტთა ჯგუფის სიას ადგენს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტი სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც ხდება უწყისის ელექტრონული წარმოება, ხოლო საბოლოოდ შევსების

შემდეგ, ერთი ეგზემპლარი ბარდება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტს, ხოლო მეორე – ფაკულტეტის სამდივნოს.

5. დაუშვებელია დეკანატისა და დეპარტამენტისათვის უწყისის წესისამებრ შევსების გარეშე ჩაბარება ან/და მასში ჩასწორებების გაკეთება.
6. შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგები (შეფასება) სტუდენტს ეცნობება შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. საჩივარი განიხილება თუკი სტუდენტი უთითებს: ა) პროცედურულ დარღვევაზე ან/და ბ) შეფასების დადგენილი წესის დარღვევაზე. წარდგენილ საჩივარს შესაბამისი საგნის ლექტორი განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი წარადგენს მოხსენებით ბარათს დეკანის სახელზე (დარეგისტრირდება საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად) და დეკანის მიერ გაკეთებული რეზოლუციის საფუძველზე მოითხოვს სტუდენტის არსებული შეფასების შეცვლას შესაბამის უწყისში. საჭიროების შემთხვევაში, დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ელექტრონულ უწყისში შეფასების ჩასწორება.
7. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას. კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც იცვლება სტუდენტის შეფასება, ხდება ელექტრონულ უწყისში შეფასების ჩასწორება). საბოლოო უწყისს ამობეჭდვის შემდეგ თან უნდა დაერთოს კომისიის ოქმი, უნდა შეიკვრას და შენახულ იქნას დეკანატში.
8. თითოეულ უწყისს ელექტრონულად ენიჭება რეგისტრაციის ნომერი. უწყისის სარეგისტრაციო ნომერი უნდა შეიცავდეს შემდეგ პარამეტრებს: დასაწყისში იწერება სიმბოლო P, B, M ან D იმის მიხედვით, სწავლების რომელ დონეს (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) შეესაბამება სასწავლო კურსი, შემდეგ იმ ფაკულტეტის კოდი, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა, დეფისის შემდეგ კი მოცემულ ფაკულტეტზე ამ ეტაპზე გამოწერილი უწყისის რიგობითი ნომერი. (მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, უმაღლესი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის "ბიზნესის ადმინისტრირება" ფარგლებში წაკითხული სასწავლო კურსის "აკადემიური წერა" შესაბამისი უწყისის სარეგისტრაციო ნომერი შეიძლება იყოს: P 114-02-034, უწყისი უნდა ამოიბეჭდოს ორ ეგზემპლარად. იმავე ფაკულტეტის ბაკალავრიატში მოქმედი დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის "საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე" ფარგლებში წაკითხული სასწავლო კურსის უწყისი უნდა ამოიბეჭდოს ცალკეული ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფების მიხედვით სამ ეგზემპლარად. ასეთი უწყისის სარეგისტრაციო ნომერი იქნება: B 114-02-144 (ბოლო სამი ციფრი შეესაბამება მიმდინარე (ძირითადი და დამატებითი) სესიების დროს კონკრეტულ ფაკულტეტზე ბაკალავრიატის ფარგლებში დაბეჭდილი უწყისის რიგობით ნომერს).

9. თუ სტუდენტმა მიმდინარე შეფასებებში დააგროვა 0-10 ქულა, იგი არ დაიშვება საბოლოო გამოცდაზე, დასკვნითი (ძირითადი) გამოცდის გრაფაში აღინიშნება "არ დაიშვა", ხოლო საბოლოო შეფასებად ფიქსირდება "ჩაიჭრა", (გრაფაში – "ქულათა ჯამი" ჩანაწერი არ კეთდება).
10. თუ სტუდენტის მიმდინარე შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41-50 ქულას, მას უფლება აქვს დამატებით სასესიო პერიოდში გამოცხადდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე. დამატებითი გამოცდის ქულა შედის ძირითად უწყისში (თავიდანვე გამოყოფილია დამატებითი გამოცდის გრაფა).
11. დამატებით სასესიო პერიოდში გამოცდაზე "არ გამოცხადება", ან მიღებული შეფასებები "ვერ ჩააბარა", "ჩაიჭრა" ითვლება ჩაჭრად და ფასდება "ჩაიჭრა" შეფასებით.